ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2997269

ნომერი: AR1450936

თარიღი : 24.10.2016

გაცემის თარიღი : 13.12.2016

გაცნობის თარიღი : 14.12.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აგლაძის ქ. N11 ა ; ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N22 ; ქალაქი თბილისი , სანაპირო კოსმონავტები , N 25 ; ქალაქი თბილისი , სანაპირო კოსმონავტები , N 25ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:

- შპს "არტსტუდიო პროექტი" კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, აგლაძის ქ. N11ა-ში, რაფაელ აგლაძის ქუჩა N22-ში, კოსმონავტების სანაპირო N25-ში, კოსმონავტების სანაპირო N25ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.13.05.010.043, 01.13.05.010.015, 01.13.05.010.044, 01.13.05.010.041) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდგომში გრგ) კორექტირებული პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ საკითხი განხილულ იქნა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ 2016 წლის 27 ოქტომბრის N53 სხდომაზე, რომელზეც მიეცა დადებითი რეკომენდაცია. კიდევ ერთხელ გაცნობებთ, იმისათვის, რომ არქიტექტურის სამსახურს მიეცეს შესაძლებლობა საკითხი შემდგომი განხილვისთვის გადააგზავნოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საჭიროა გამოსწორდეს შემდეგი ხარვეზები:

1. საჭიროა რუკებზე დატანილი ექსპლიკაცია მოიცავდეს ყველა გამოყენებულ პირობით აღნიშვნას და ყველა რუკაზე უნდა იყოს დატანილი სათაური;
2. წარმოსადგენია შეთანხმებული და კორექტირებული გრგ დოკუმენტაციის შედარება ფრაგმენტების სახით;
3. ვინაიდან, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება და შემდეგ განაშენიანების რეგულირების გეგმა შეთანხმებულია „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების შესაბამისად დადგენილი ფუნქციური ზონებისა და გამოყენების სახეობების (ობიექტები და ფუნქციები) გეგმაზე დატანილი ამონარიდები უნდა იყოს №4-13-დან და არა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებიდან“.
4. წარმოდგენილი საპროექტო ფუნქციური ზონების GIS shp ფაილიდან არ ირკვევა, რომელი პოლიგონალური ფენა რომელი ფუნქციური ზონის მატარებელია, ატრიბუტულ ცხრილში გთხოვთ მიუთითოთ ზონის შესაბამისი ინფორმაცია.

გასწორებული დოკუმენტაცია უნდა ატვირთოთ დახარვეზებული „განაშენიანების რეგულირების გეგმის ელექტრონული ალბომის ველში“ > გრგ-ს ალბომის PDF ფაილი და გრგ-ს CAD ფაილი (AutoCad-ის ან ArchiCad-ის სახით).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან;

თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია;

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა;

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება;

თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ;

განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის/ან სხვა ინფორმაციის წარმოსადგენად გეძლევათ 15 დღე.

გაითვალისწინეთ, რომ დადგენილ ვადაში დოკუმენტაციის/ან სხვა ინფორმაციის წარმოუდგენლობის ან არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.